დანართი N1

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევასთან კონტაქტირებულთა მართვის დროს გასატარებელი დროებითი მეთოდური რეკომენდაციები

1. **კონტაქტირებულთა იზოლაციის** (შემდგომში - იზოლაცია) საჭიროება დაავადების გავრცელების სხვადასხვა ფაზისთვის განისაზღვრება ცალ-ცალკე. პირობითად, დაავადების გავრცელება იყოფა ორ განსხვავებულ ფაზად:

ა) შეზღუდვის ფაზა (ეპიდაფეთქება, ჯგუფური ან ერთეული შემთხვევა);

ბ) ეპიდემიური/პანდემიური გავრცელება (ქვეყნის რამდენიმე რეგიონში რეგისტრირდება ეპიდაფეთქებები ერთდროულად).

2. მოყვანილი რეკომენდაციები განსაზღვრულია შეზღუდვის ფაზისთვის და ეფუძნება ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონს.

3. კონტაქტების მოძიება და დაავადების გავრცელების კონტროლის ღონისძიებები იწყება მას შემდეგ, რაც შემთხვევა განისაზღვრება როგორც დადასტურებული (იხ. შემთხვევის განსაზღვრება) ან მიუხედავად ლაბორატორიული კვლევით მიღებული უარყოფითი შედეგისა, არსებობს მედგარი ეჭვი, რომ **(COVID-19)** დაავადების გამომწვევია.

შენიშვნა: 1 შემთხვევისთვის საშუალოდ განისაზღვრება 3 კონტაქტი. თუმცა, კონკრეტულ პირობებში შესაძლოა 1 შემთხვევის კონტაქტი ათეულობით იყოს.

<u>4. კონტაქტების იდენტიფიკაცია:</u>

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრები ვალდებული არიან განახორციელონ:

ა.ა) ყველა ადამიანის მოძიება ვინც ითვლება დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტირებულ პირად;

ა.ბ) დაკვირვება და სიმპტომების გამოვლენაზე მონიტორინგი სულ მცირე 14 დღის (მაქსიმალური ინკუბაციის პერიოდი) განმავლობაში, შემთხვევასთან ბოლო ექსპოზიციის შემდეგ;

ა.გ) კონტაქტირებულების დაყოფა ორ კატეგორიად: ახლო კონტაქტებად და სხვა კონტაქტებად.

5. ახლო კონტაქტის განსაზღვრება:

ა) ახლო კონტაქტი განისაზღვრება როგორც:

ა.ა) დადასტურებულ შემთხვევასთან სიმპტომების დაწყებამდე 24 საათის განმავლობაში 15 წუთზე მეტი დროით პირისპირ კონტაქტი ნებისმიერ გარემოში, ან;

ა.ბ) დადასტურებული შემთხვევის სიმპტომების დაწყებამდე 24 საათის განმავლობაში საერთო სივრცეში დიდი ხნის მანძილზე ყოფნა (მაგ: 2 საათზე დიდხანს).

ბ) ზედამხედველობის მიზნით, ახლო კონტაქტი არის ის ადამიანი, რომელიც აკმაყოფილებს რომელიმეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

ბ.ა) იმავე სახლში ან სახლისმაგვარ გარემოში ცხოვრება;

ბ.ბ) უშუალო კონტაქტი შემთხვევის ლაბორატორიულ ნიმუშებთან ან ბიოლოგიურ სითხეებთან, რეკომენდებული პერსონალური დაცვის აღჭურვილობის გარეშე;

ბ.გ) პირი რომელმაც 2 საათზე მეტი გაატარა იმავე ოთახში (როგორიც არის მაგ. ოჯახის ექიმის მოსაცდელი);

ბ.დ) პირი, რომელიც რეკომენდებული პერსონალური დაცვის აღჭურვილობის გარეშე იმყოფება იმავე პალატაში, სადაც შემთხვევაზე ხდება აეროზოლის წარმომქმნელი პროცედურის ჩატარება;

ბ.ე) თვითმფრინავის მგზავრები, რომლებიც ისხდნენ **(COVID-19)** -ის დადასტურებულ შემთხვევასთან იმავე რიგში ან 2 რიგით წინ ან უკან. იმავე ჯდომის კრიტერიუმით საჭიროა რომ შემოწმდნენ პირები, რომლებსაც ჰქონდათ ახლო კონტაქტი დადასტურებულ შემთხვევასთან ავტობუსით ან მატარებელით დიდხნიანი მგზავრობის დროს;

ბ.ვ) თვითმფრინავის ეკიპაჟის ყველა წევრი, ვინც მუშაობდა იმავე კაბინაში/სალონში **(COVID-19)**- ის დადასტურებულ შემთხვევასთან. თუ **(COVID-19)** - ის შემთხვევა არის ეკიპაჟის წევრი, კონტაქტების მიდევნება საჭიროა მოხდეს მგზავრებზე, რომლებიც ისხდნენ იმ ადგილას, სადაც ეკიპაჟის წევრი მუშაობდა ფრენის განმავლობაში და ასევე, ეკიპაჟის სხვა წევრებზე.

გ) სამედიცინო პერსონალი და სხვა კონტაქტები, რომლებიც უვლიდნენ **(COVID-19)** - ის დადასტურებულ შემთხვევას, რეკომენდებული პერსონალური დაცვის აღჭურვილობის სრული დაცვით, არ ითვლებიან ახლო კონტაქტებად. თუმცა, რეკომენდებულია მათი თვითმონიტორინგი.

6. ახლო კონტაქტის ტესტირება:

არ არის რეკომენდებული, ასიმპტომური ახლო კონტაქტების რუტინული ლაბორატორიული სკრინინგი **(COVID-19)** - ის ინფექციაზე.

7. ახლო კონტაქტების იზოლაცია, შეზღუდვა, ზედამხედველობა:

ა) რეკომენდებულია ასიმპტომური ახლო კონტაქტები იყვნენ იზოლაციაში 14 დღის განმავლობაში და აკონტროლონ საკუთარი ჯანმრთელობა **(COVID-19)** -ის დადასტურებულ შემთხვევასთან ბოლო შესაძლო კონტაქტის შემდგომ 14 დღის განმავლობაში;

ბ) მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლებმა უნდა განახორციელონ ახლო კონტაქტირებული პირების აქტიური ყოველდღიური მონიტორინგი **(COVID-19)** -ის დადასტურებულ შემთხვევასთან ბოლო შესაძლო კონტაქტის შემდგომ 14 დღის განმავლობაში. იზოლირებას დაქვემდებარებული თითოეული პირი რეგისტრირებული უნდა იყოს ყოველდღიური ზედამხედველობის ჟურნალში. ზედამხედველობის თარიღები უნდა განისაზღვროს თითოეულისთვის ინდივიდუალურად, ექსპოზიციის შემდგომ 14 დღიანი ინტერვალის გათვალისწინებით.

8. სხვა კონტაქტების განსაზღვრება:

ა) სხვა კონტაქტი განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც აქვს 15 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის პირისპირ კონტაქტი ნებისმიერ გარემოში, ან დახურულ სივრცეში ყოფნა 2 საათზე ნაკლები ვადით სიმპტომურ დადასტურებულ შემთხვევასთან. ასეთ კონტაქტებად ითვლება ჯანდაცვის მუშაკები, სხვა პაციენტები, ან ვიზიტორები, რომლებიც იმყოფებოდნენ სიმპტომურ დადასტურებულ შემთხვევასთან დახურულ სივრცეში, მაგრამ უფრო მოკლე ვადით, ვიდრე ახლო კონტაქტისთვისაა საჭირო. სხვა დახურულ სივრცეებში მოიაზრება სასწავლო/სააღმზრდელო სივრცეები ან ოფისები;

ბ) სხვა კონტაქტები შეიძლება მოიცავდეს:

ბ.ა)გაფართოებულ ოჯახურ ჯგუფებს, სამეზობლო, სათემო კონტაქტებს;

ბ.ბ) თვითმფრინავის მგზავრებს, რომლებიც არ იმყოფებოდნენ ახლოს სიმპტომურ დადასტურებულ შემთხვევასთან, ან ეკიპაჟის წევრებს, რომელიც არ მუშაობდნენ იმავე სალონში, რომელშიც იმყოფებოდა სიმპტომური დადასტურებული შემთხვევა (ახლო კონტაქტის განმარტება განსაზღვრულია ამ დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად).

გ) რესურსების არსებობის შემთხვევაში, კონტაქტების მიდევნების არეალი შეიძლება გაფართოვდეს და გავრცელდეს სხვა პირებზე, რომელთაც ჰქონდათ სხვა კონტაქტი განსაკუთრებით სასწავლო სივრცეში, ან ოფისში, ან სხვა დახურულ გარემოში. კონტაქტების იდენტიფიკაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დახურული სათავსის ზომა და საქმიანობის განხორციელებისას სხვებისგან განცალკევების ხარისხი.

დ) სხვა კონტაქტებისთვის არ არის არანაირი შეზღუდვა გადაადგილებაზე, თუმცა მათ უნდა მიეცეთ რეკომენდაცია, აწარმოონ საკუთარი ჯანმრთელობის თვითმონიტორინგი და **(COVID-19)**-ის შესაბამისი სიმპტომების დაწყების შემთხვევაში აცნობონ მუნიციპალურ ტერიტორიულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრს და/ან სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - დკსჯეც) და დაუყოვნებლივ მიმართონ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს.

9. სამედიცინო პერსონალი:

სამედიცინო პერსონალი და სხვა კონტაქტები, რომლებიც სიმპტომურ დადასტურებულ **(COVID-19)** შემთხვევაზე ზრუნვის დროს, იცავდნენ ინფექციის კონტროლის პროფილაქტიკურ ზომებს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (PPE) გამოყენების ჩათვლით, არ მიიჩნევა ახლო კონტაქტებად. ამასთან, ამ ადამიანებს ეძლევათ

რეკომენდაცია განახორციელონ საკუთარი ჯანმრთელობის თვით-მონიტორინგი და **(COVID-19)** ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების გაჩენისთანავე აცნობონ ტერიტორიული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრს და/ან დკსჯეც-ს და დაუყოვნებლივ მიმართონ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს.

10. იზოლაცია

ა) იზოლაცია – ავადმყოფის ან ინფიცირებული პირის განცალკევება სხვა ადამიანებისაგან დაავადების გადამდებლობის პერიოდის განმავლობაში, ისეთ ადგილას ან/და ისეთ პირობებში, რომელიც (რომლებიც) შეზღუდავს ან გამორიცხავს მისგან ამ დაავადების პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით სხვა ადამიანზე გადადებას; *განსაზღვრებისთვის:* იზოლაცია ნიშნავს ისეთი სიტუაციების თავიდან არიდებას, სადაც შეიძლება მოხდეს სხვა ადამიანების ინფიცირება. სხვა ადამიანების ინფიცირება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ დამყარდება პირისპირ კონტაქტი 1 მეტრზე ახლო მანძილზე 15 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, მაგალითად, სოციალური შეკრებები, სამუშაო სივრცე, სკოლა, ბავშვთა მოვლის/სკოლამდელი ცენტრები, უნივერსიტეტი, რელიგიური ღონისძიებები, ხანდაზმული მოვლისა და ჯანდაცვის ობიექტები, ციხეები, სპორტული შეკრებები, რესტორნები და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი;

ბ) იზოლაციისთვის გამოიყენება 2 მეთოდი:

ბ.ა) თვითიზოლაცია;

ბ.ბ) იზოლაცია გამოყოფილ სივრცეში.

გ) თვითიზოლაცია:

გ.ა) წარმოებს იზოლაციას დაქვემდებარებული პირის მიერ დასახელებულ სივრცეში, რომლის განლაგება, ხელმისაწვდომობა და კეთილმოწყობის ხარისხი ხელს არ შეუშლის დასახული მიზნის მიღწევას. თვითიზოლირება დასაშვებია ჯგუფურად (ოჯახის წევრები, კომპანიონები და სხვ.), თუ იზოლირებული პირების ექსპოზიცია განსაზღვრულია დროის ერთნაირი მახასიათებლით და ამის შესახებ არსებობს ჯგუფის მონაწილეთა თანხმობა;

გ.ბ) თვითიზოლაციის სივრცეში არა არის რეკომენდებული ვიზიტორებისა და სტუმრების მიღება. დასაშვებია არაპირდაპირი კონტაქტით საკვების გადაცემა. თუ ერთიან საცხოვრებელ სივრცეში თვითიზოლირებულთან ერთად იმყოფება სხვა პირი/პირები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი კონტაქტის მინიმიზაცია. არ დაიშვება 1 მეტრზე ახლო კონტაქტი 15 წუთზე მეტ ხანს. თვითიზოლირებულს იზოლაციის პერიოდში უნდა გააჩნდეს განცალკევებული ჭურჭელი (ჭიქა, თეფში, კოვზი და ა.შ.), პირსახოცი, საწოლი;

გ.გ) თუ სხვებთან ერთად მგზავრობა გარდაუვალია თვითიზოლაციის პერიოდში, იზოლაციას დაქვემდებარებული პირი უნდა განთავსდეს სატრანსპორტო საშუალებაში ღია ფანჯარასთან. არ იკრძალება მგზავრობა ან გადაადგილება თუ თვითიზოლირებული თავად

მართავს სატრანსპორტო საშუალებას და მის გარდა არავინ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაში.

დ) იზოლაცია გამოყოფილ სივრცეში:

ა) იზოლირებისათვის ხელსაყრელი ადგილის განსაზღვრება:

ა.ა) იზოლირებული საცხოვრებელი ბინა/სახლი - თვითიზოლაციისთვის;

ა.ბ) შესაბამისი მოცულობის სასტუმრო (თითოეული ადამიანის ცალკე ოთახში განთავსების შესაძლებლობით) რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ჰაერცვლის სისტემა თითოეული ოთახისთვის;

ა.გ) სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება ბოქსის, ნახევრადბოქსისა ან ბოქსირებული პალატების არსებობის შემთხვევაში.

ბ) იზოლირებისას ნებადართულია კოჰორტული (ჯგუფური, მაგ: ოჯახის წევრები) იზოლაცია კანონმდებლობის ფარგლებში, კოჰორტის შემადგენლობის მსგავსი ექსპოზიციისას (ისაზღვრება ეპიდემიოლოგის მიერ) იზოლირებულთა თანხმობის შემთხვევაში;

გ) აღნიშნული პირებისთვის იზოლირების ადგილას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს:

გ.ა) იზოლირებულ პირთა დღეში სამჯერადი კვება, საკვების/სასმელის ინდივიდუალური კონტეინერებით მიწოდებით (სურვილის შემთხვევაში საკვების მიწოდება შესაძლებლია მოხდეს ოჯახის წევრების მიერ);

გ.ბ) თეთრეულისა და პირადი მოხმარების საგნებით (მათ შორის ტანსაცმელი) რეგულარული მომარაგება (სუფთა ტანსაცმელი შესაძლებელია მიეწოდოს ოჯახის წევრების (ახლობლების) მიერ, ხოლო ნახმარი გაირეცხოს ადგილზევე, ან გადაეცეს ოჯახის წევრებს (ახლობელს) გასარეცხად;

გ.გ) ქრონიკული დაავადებით დაავადებულ პირთათვის საჭირო მედიკამენტებისა და სამედიცინო საგნების (მ.შ. სადეზინფექციო დანიშნულების) რეგულარული მიწოდება (შესაძლოა განხორციელდეს ახლობლების მიერ);

გ.დ) საიზოლაციოდ გამოყოფილი ოთახების/პალატების ყოველდღიური დალაგება/დასუფთავება და სანიტარული კვანძების დეზინფექცია (უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისად მომზადებული/ტრენირებული პირების და/ან სურვილის შემთხვევაში თვით იზოლირებული პირის მიერ);

გ.ე) ოთახებში/პალატებში შესასვლელ კარებებთან დეზობარიერების მოწყობა;

გ.ვ) იზოლირებულ პირებზე ყოველდღიური სამედიცინო ზედამხედველობა ტემპერატურის ადგილზე გაზომვით, ყოველი პირისთვის გამოყოფილი ინდივიდუალური თერმომეტრით;

გ.ზ) სამედიცინო ზედამხედველობა შეიძლება განხორციელდეს იზოლირებულებთან უშუალო კონტაქტის გარეშე - ტემპერატურის თვითგაზომვით, სიმპტომების გამოვლენისას თვითანგარიშგებით;

გ.თ) მონაცემების შეგროვება ყოველდღიურ რეჟიმში იზოლირებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არის განთავსების ადგილის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ან დკსჯეც-ს რეგიონული განყოფილების პრეროგატივა;

გ.ი) მონაცემები ყოველი დღის ბოლოს ან დაუყოვნებლივ (შესაძლო შემთხვევის გამოვლენისას) წარმოებს დკსჯეც-ს ცენტრალურ ოფისში;

გ.კ) იზოლირებულ პირებში ცხელების და ან რესპირატორული ვირუსული ინფექციის მსგავსი კლინიკური ნიშნების გამოვლენისას მათი დაუყოვნებელი ჰოსპიტალიზაცია ინფექციური პროფილის (რეფერალურ) სტაციონარში, ხოლო კოჰორტული იზოლაციისას მასთან ერთად მყოფი პირისთვის იზოლაციის გახანგრძლივება პაციენტისთვის დიაგნოზის განსაზღვრამდე ან ახალი კორონავირუსისთვის განსაზღვრული ინკუბაციური პერიოდით - დამატებით 14 დღით;

გ.ლ) იზოლირებული პირისთვის არაინფექციური დაავადების (მაგ; ქირურგიული, გინეკოლოგიური და სხვა) სასწრაფო სტაციონარული სამედიცინო დახმარების საჭიროებისას, მისი კლინიკაში ტრანსპორტირება სპეციალური ავტოტრანსპორტით, სტაციონარში ბოქსირებულ პალატაში (და ან გამწოვი ვენტილაციით აღჭურვილ პალატაში) განთავსებით საიზოლაციო პერიოდის ვადის გასვლამდე;

გ.მ) იზოლირებული პირებისთვის სატელეფონო კავშირის და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;

გ.ნ) იზოლაციაში მყოფი პირები შეიძლება საჭიროებდნენ ემოციურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე სპეციალურ ზრუნვას. მათთვის შეთავაზებული უნდა იყოს 24 საათიანი სატელეფონო სპეციალიზებული დახმარება.

დ) იზოლირების ადგილების დაცვას უცხო პირთა შეღწევისაგან, ასევე, იზოლაციაში მყოფი პირების იზოლირების ადგილის დატოვებისგან უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს დაცვის შესაბამისმა სამსახურმა;

ე) **საკარანტინო ღონისძიებები** – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის ავად, მაგრამ ჰქონდა ექსპოზიცია გადამდები დაავადების შემთხვევასთან გადამდებლობის პერიოდის განმავლობაში;

ვ) ამ დანართისთვის კონტაქტირებულთა იზოლაცია წარმოადგენს საკარანტინო ღონისძიებების ნაწილს.

<u>დამატებითი ინფორმაცია:</u>

<u>www.moh.gov.ge</u>
ცხელი ხაზი: 1505

<u>www.ncdc.ge</u>
ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge